ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №30

2018 წლის 25 აპრილი

ქ. ბათუმი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების სარგებლობის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემისა და მათზე საიჯარო საწყისი ქირის საფასურის დადგენის შესახებ

"ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე.გ" ქვეპუნქტისა და 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია ელექტრონული აუქციონის გზით მოახდინოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი ობიექტების სარგებლობის უფლებით გაცემა:

ა) ქ. ბათუმში, დასახლება ურეხში მდებარე N1 კომერციული 86 კვ.მ ფართი (ს/კ 05.25.08.121.01.500);

ბ) ქ. ბათუმში, დასახლება ურეხში მდებარე N2 კომერციული 68 კვ.მ ფართი (ს/კ 05.25.08.121.01.501);

2. დადგინდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების საწყისი საიჯარო ღირებულება შემდგენაირად:

ა) ქ. ბათუმში, დასახლება ურეხში მდებარე N1 კომერციული 86 კვ.მ ფართის (ს/კ 05.25.08.121.01.500) თვიური საწყისი საიჯარო თანხა განისაზღვროს 1080 ლარის ოდენობით;

ბ) ქ. ბათუმში, დასახლება ურეხში მდებარე N2 კომერციული 68 კვ.მ ფართის (ს/კ 05.25.08.121.01.501) თვიური საწყისი საიჯარო თანხა განისაზღვროს 855 ლარის ოდენობით;

3. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ქონების სარგებლობის ფორმით გადაცემის მიზნით კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება;

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) კანონმდებლობით დადგენილი წესის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ნადიმ ვარშანიძე